ეკა დარბაიძე*

თამილა ნიპარიშვილი **

გენდერული პოლიტიკა ამერიკის შეერთებულ შტატებში

აბსტრაქტი

ამერიკის შეერთებული შტატები დღეს მნიშვნელოვნად ჩამორჩება ევროპულ დემოკრატიებს პოლიტიკაში ქალთა მონაწილეობის მაჩვენებლებით. მიუხედავად იმისა, რომ არაერთმა ქვეყანამ სწრაფი პროგრესი განიცადა აღნიშნული მიმართულებით, შეერთებულ შტატებს ქალთა დაბალი წარმომადგენლობის პრობლემის დასაძლევად მნიშვნელოვანი მექანიზმების ამოქმედებისათვის არ მიუმართავს. 2021 წელი კი სრულიად უპრეცედენტო აღმოჩნდა ამერიკელი ქალებისათვის პოლიტიკური წარმომადგენლობის ზრდის მიმართულებით, რომელმაც ამერიკის სახელმწიფოებრივ ისტორიაში ყველაზე მაღალ მაჩვენებელს მიაღწია, თუმცა მიუხედავად ამ პროგრესისა ქალები კვლავაც ნაკლებად გვევლინებიან პოლიტიკურ ლიდერებად.

სტატიის მიზანია ამერიკის შეერთებულ შტატებში ქალთა არათანაბარი პოლიტიკური წარმომადგენლობის მიზეზების შესწავლა, კერძოდ იმ ფაქტორების იდენტიფიცირება, რაც ამერიკულ პოლიტიკურ სისტემაში ქალთა დაბალ წარმომადგენლობას განაპირობებს. დადგენა იმისა, თუ რამდენად პრიორიტეტულია აღნიშნული პრობლემა პოლიტიკურ დღის წესრიგში და კონკრეტულად რა სახის მექანიზმების გამოყენებით ცდილობს სახელმწიფო და სამოქალაქო სექტორი ქალთა დაბალი წარმომადგენლობის დაძლევას. საინტერესოა თავად ფაქტი, რომ ფემინისტური ორგანიზაციები, რომლებიც მონაწილეობენ და ჩართული არიან ქალთა გაძლიერებისა და მათი პოლიტიკური გაძლიერების კამპანიაში, მხარს არ უჭერენ საკანონმდებლო კვოტირების განხორციელების სტრატეგიას. შესაბამისად, ამ მხრივ უაღრესად საინტე-

* პოლიტიკის მეცნიერების დოქტორი, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის პოლიტოლოგიის ინსტიტუტის ასოცირებული მკვლევარი

** ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის პოლიტოლოგიის ინსტიტუტის ასისტენტ მკვლევარი

რესო საკითხად რჩება ქალთა პოლიტიკური მონაწილეობის სტიმულირების კუთხით, ამერიკულ ქალთა ორგანიზაციების როლის, ინიციატივებისა და მიდგომების შესწავლა. უფრო მეტიც, იკვეთება მხოლოდ ერთი ტიპის ინტერვენციის მცდელობა სხვა სტრატეგიებთან მიმართებაში: ეს არის სასწავლო თუ სხვა სახის ტრენინგ პროგრამების განხორციელება პოლიტიკით დაინტერესებული ქალებისათვის. შეიძლება დავასკვნათ, რომ ამერიკულ სამოქალაქო საზოგადოებაში საკანონმდებლო კვოტირების ინიციატივის არარსებობა და არაპოპულარობა შესაძლოა სწორედ თავად ქალთა ორგანიზაციების მხრიდან კვოტირების იდეის მხარდაჭერის არარსებობას უკავშირდებოდეს.

საკვანძო სიტყვები: ქალთა პოლიტიკური მონაწილეობა, გენდერული კვოტა, ამერიკელი ქალები, ქალი კანდიდატები.

შესავალი

2021 წელს ამერიკის შეერთებული შტატების თითოეულმა სახელისუფლებო შტომ ქალთა წარმომადგენლობის ზრდის მიმართულებით მნიშვნელოვან ნიშნულს მიაღწია, განსაკუთრებით შესამჩნევია ქალთა წარმომადგენლობის ზრდა სამთავრობო სტრუქტურებში, რაც სრულიად უპრეცედენტო მოვლენას წარმოადგენს ამერიკის პოლიტიკურ ისტორიაში. აღნიშნული მიღწევები პასუხობს როგორც გასულ საუკუნეებში, ასევე თანამედროვე ამერიკელ ქალთა სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებებისათვის მებრძოლი ჯგუფების ოცნებასა და მისწრაფებებს, იხილონ მეტი ქალი პოლიტიკაში.

მეოცე საუკუნის დასაწყისში, ამერიკული სუფრაჟისტული მოძრაობის რიგებში, რომელმაც მოგვიანებით გზა გაუხსნა ქალებს ხელისუფლებაში მოსასვლელად, შედიოდნენ ელიზაბეტ კადი სტენტონი, სიუზან ბ. ენტონი, ვირჯინია მინორი, იდა ბ. უელსი, ალისა პოლი და ლუკრეტია მოტი. ქალთა საარჩევნო უფლებებისათვის ბრძოლა საბოლოოდ დასრულდა 1920 წელს ამერიკის კონსტიტუციაში მე-19 შესწორების მიღებით, რომელმაც ამერიკელ ქალებს საარჩევნო ხმის უფლება მიანიჭა (Steinhauer 2013).

ჯერ კიდევ მე-19 შესწორების მიღებამდე, მონტანელი, სოციალ რეფორმატორი ჯანეტ რანკინი იყო პირველი ქალი, რომელიც აირჩიეს 1916 წელს წარმომადგენელთა პალატაში. საარჩევნო ხმის მოპოვების შემდეგ, ქალებმა გადაწყვიტეს მთელი თავიანთი ძალისხმევა ლეგენდარულ ოვალურ კაბინეტში სათანადო ადგილის მოსაპოვებლად მიემართათ. ჯორჯიელი რებეკა ელ ლატიმერ ფელტონი 1922 წელს, 87 წლის ასაკში, ინიშნება ჯორჯიის შტატიდან სენატორად. როგორც ამბობდნენ, მისი დანიშვნა უფრო სიმბოლურ ხარკს წარმოადგენდა ქალებისათვის და ასევე ერთგვარ პოლიტიკურ ნაბიჯს ქალი ამომრჩევლების ხმების მისაღებად. ფელტონის სენატორობის უფლებამოსილებამ მხოლოდ ერთ თვეს გასტანა, მიუხედავად ამისა, ფელტონი ოფიციალურად დღემდე აღიარებულია აშშ-ის ისტორიაში პირველ ქალ-სენატორად (Steinhauer 2013).

ამერიკის სენატში პირველი არჩეული ქალი 1932 წელს სენატორი ჰეტი ვაიტ კარევეი აღმოჩნდა, იგი იყო პირველი ქალი, რომელიც თამჯდომარეობდა სენატს, ხოლო მოგვიანებით პრეზიდენტმა ფრანკლინ დელანო რუზველტმა დანიშნა თანამშრომელთა კომპენსაციის ფედერალურ კომისიაში, სადაც 1946 წლამდე მსახურობდა. კარავეის შემდეგ, მხოლოდ 1971 წელს ქალთა უფლებათა დამცველი ბელა აბზუგი აირჩიეს ამერიკის შეერთებული შტატების კონგრესში, რომელიც იმ დროისათვის ქალთა რამდენიმე ლიბერალური პოლიტიკური ორგანიზაციის დამაარსებელი და ხელმძღვანელი იყო. 1971-1977 წლებში კარავეი აირჩიეს ამერიკის შეერთებული შტატების წარმომადგენელთა პალატაში, სადაც იგი მგზნებარე გამოსვლებით გამოირჩეოდა, იყო ვიეტნამის ომის აქტიური მოწინააღმდეგე და უფლებათა თანასწორობის შესახებ საკანონმდებლო ცვლილებების, აბორტის უფლების და ბავშვთა დაცვის კანონმდებლობის მხარდამჭერი.

საკანონმდებლო ორგანოში ამერიკელ ქალთა პირველი მიღწევები მოიცავს ასევე მარგარეთ ჩეის სმიტის წარმატებას, რომელიც

ჯერ წარმომადგენელთა პალატაში, მოგვიანებით კი სენატში აირჩიეს; სტეისი აბრამსი კი გახდა პირველი ქალი და ამასთანავე პირველი აფრო ამერიკელი, რომელმაც დაიკავა თანამდებობა როგორც საშტატო, ასევე ეროვნულ დონეზე და ნენსი პელოსი, რომელიც 2007 წლიდან ხდება წარმომადგენელთა პალატის ქალი სპიკერი. ქალებმა შეძლეს, სერიოზული წინააღმდეგობების მიუხედავად, გაერღვიათ ურთულესი ბარიერები აღმასრულებელ ხელისუფლებაში პოზიციების დასაკავებლად. 1933 წლიდან, ფრენსის პერკინსი გახდა პირველი ქალი, რომელიც წარმოდგენილი იქნა შეერთებული შტატების პრეზიდენტის კაბინეტში, კერძოდ დაინიშნა პრეზიდენტ ფრანკლინ დელანო რუზველტის შრომის მდივნად (Downey 2009). რუზველტის პრეზიდენტობის პერიოდში პერკინსმა მნიშვნელოვანი როლი შეასრულა ახალი გარიგების პოლიტიკისა და კანონმდებლობის მნიშვნელოვანი ნაწილების ჩამოყალიბებაში, როგორიცაა სოციალური უზრუნველყოფის აქტი, შესაბამისად, მან ერთგვარად გზა გაუხსნა ქალებს აღმასრულებელი ხელისუფლების სხვადასხვა პოზიციებზე. შირლი ჩისჰოლმი იყო პირველი აფრო-ამერიკელი ქალი, რომელიც აირჩიეს ამერიკის კონგრესში, 1972 წელს კი მან, როგორც პირველმა შავკანიანმა საპრეზიდენტო კანდიდატმა „დემოკრატიული პარტიიდან“ მონაწილეობა მიიღო საპრეზიდენტო არჩევნებში და განაცხადა, რომ „ის აყენებდა საკუთარ კანდიდატურას, რადგან ვიღაცას პირველს აუცილებლად უნდა გადაედგა ეს ნაბიჯი“ (Freeman 2009). ზუსტად 12 წლის შემდეგ ჯერალდინა ფერარომ მიიღო მონაწილეობა არჩევნებში, როგორც პირველმა კანდიდატმა, რომელიც ნომინირებული იქნა ვიცე-პრეზიდენტად. 2016 წელს ჰილარი კლინტონი აღმოჩნდა სწორედ ის პირველი ქალი, რომელიც „დემოკრატიულმა პარტიამ“ წარადგინა პრეზიდენტობის კანდიდატად, თუმცა საბოლოო ჯამში კლინტონი არჩევნებში დამარცხდა.

2020 წელს ამერიკამ აირჩია კამალა ჰარისი - პირველი აფრიკელი ამერიკელი და პირველი აზიელ ამერიკელი, რომელიც ამჟამად ამერიკის ვიცე-პრეზიდენტის პოსტ იკავებს. შეერთებლ შტატებში ქალთა პოლიტიკური წარმომადგენლობის მოკლე ისტორიულმა ექსკურსმა კვლავ უფრო მკაფიოდ დაგვანახა, თუ რაოდენ ნელი ტემპით იზრდებოდა გასული ათწლეულების განმავლობაში ქალთა პოლიტიკური წარმომადგენლობა ამერიკის შეერთებულ შტატებში.

დღეისათვის ქალები შეერთებული შტატების კონგრესში 143 მანდატს ფლობენ, რაც 26,7%-ს წარმოადგენს 535 წევრიან კონგრესში (აქედან 105 დემოკრატია და 37 რესპუბლიკელი), აქედან 24 ქალი (24%) არის ამერიკის სენატში (16 დემოკრატი, 8 რესპუბლიკელი) და ასევე 119 ქალი (27.4%) წარმოდგენილია ამერიკის შეერთებული შტატების წარმომადგენელთა პალატაში. ქალთა წარმომადგენლობის ზრდის ამ ტემპს თუ გავითვალისწინებთ, არსებობს დიდი ალბათობა იმისა, რომ ქალებმა კიდევ მრავალი წლის განმავლობაში ვერ მიაღწიონ სასურველ საკანონმდებლო პარიტეტს ამერიკის შეერთებული შტატების კონგრესში (Center for American Women and Politics, 2021).

აშშ-ში არსებულმა ქალთა მოძრაობამ მნიშვნელოვანი ძალისხმევა გასწია ქალთა თანაბარი უფლებების მოპოვებისათვის ბრძოლაში და გარკვეულ წარმატებებს მიაღწია კიდეც სხვადასხვა მიმართულებით, განსაკუთრებით ქალთა რეპროდუქციული უფლებების, განათლებისა და ქალთა შრომითი უფლებების თვალსაზრისით; თუმცა, პოლიტიკურ სფეროში რამდენიმე მნიშვნელოვანი წარმატების მიუხედავად, ქალები დღემდე კვლავაც არასაკმარისად არიან წარმოდგენილი საკანონმდებლო დონეზე.

როგორც ზემოთ ავღნიშნეთ, 2016 წელს ჰილარი კლინტონი აშშ-ს დემოკრატიული პარტიის პირველი ქალი კანდიდატი აღმოჩნდა, რომელმაც კენჭი პრეზიდენტობისათვის იყარა. სტივენ ჰელის აზრით, მდგომარეობა მართლაც საგანგაშოა იმის გათვალისწი-

ნებით, რომ ამერიკელი ქალები მთელი ქვეყნის მასშტაბით კვლავაც არასაკმარისად არიან წარმოდგენილნი არჩეულ თანამდებობებზე (Steven Hill, 2014). აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ ამ დროისათვის არც ერთ პოლიტიკურ პარტიას არ მიუღია და არ გამოუყენებია გენდერული კვოტა სენატისა თუ წარმომადგენელთა პალატის კანდიდატთა შერჩევის პროცესში. სოციალურ-ეკონომიკური, კულტურული მაჩვენებელებით და პირობებით ამერიკული სისტემა ერთ-ერთ საუკეთესოდ მიიჩნევა მსოფლიოში, თუმცა საინტერესოა ისიც, რომ არჩეულ ქალთა დაბალი წარმომადგენლობა შეერთებულ შტატებში, ევროპული დემოკრატიებისაგან განსხვავებით, დღემდე არ აღიქმება ერთ-ერთ მნიშვნელოვან პრობლემად, სადაც აღნიშნული საკითხი, აშშ-სგან განსხვავებით, პოლიტიკური დღის წესრიგის ერთ-ერთი მნიშვნელოვან პრიორიტეტს წარმოადგენს.

გენდერული კვოტის საერთაშორისო კონტექსტი და მისი წარმატებული გამოცდილება ევროპულ ქვეყნებში

საარჩევნო კვოტა ბოლო ათწლეულის ერთ-ერთ ყველაზე კრიტიკულ პოლიტიკურ რეფორმას წარმოადგენს. მსოფლიოს 48 ქვეყანამ მიიღო და მხარი დაუჭირა საკანონმდებლო კვოტას და მოახდინა მისი იმპლემენტირება ეროვნულ კანონმდებლობასა თუ ქვეყნის კონსტიტუციაში. კვოტირების ეფექტურობის შესახებ დისკუსიები, კერძოდ, შემოიღონ თუ არა საკანონმდებლო გენდერული კვოტა დღესაც არ კარგავს აქტუალობას ამერიკულ სამეცნიერო წრეებში. დრუდ დალერუპი მიიჩნევნევს, რომ ამ ქვეყნებში გენდერული კვოტის იმპლემენტირება ლიბერალური დემოკრატიის პრინციპის უხეშ დარღვევას წარმოადგენს მიუხედავად იმისა, რომ შეერთებული შტატების ხელისუფლებამ განიხილა და განახორციელა რბილი თუ პარტიული კვოტები სხვადასხვა მასშტაბით, აღნიშნულ კვოტებს მხოლოდ უმნიშვნელო შედეგი მოჰყვა, ასეთი ტიპის ე. წ. „რბილი კვოტების“ გამოყენებას ფაქტობრივად არ მოჰყოლია ქალ-

თა წარმომადგენლობის მნიშვნელოვანი ზრდა შეერთებულ შტატებში (Dahlerup, 2006).

გენდერული კვოტა, როგორც ქალთა პოლიტიკური წარმომადგენლობის ზრდისა და გაძლიერების მექანიზმი, მსოფლიოში სულ უფრო ვრცელდება. 1985 წელს მხოლოდ ოთხმა სახელმწიფომ დაუჭირა მხარი გენდერულ კვოტას, თუმცა დღეისათვის მისი გავრცელების არეალი საკმაოდ ფართოა და მას ასზე მეტი ქვეყანა წარმატებით იყენებს. გენდერული კვოტების ცნობილი მკლევარი მონა ლენა კრუკი, კვოტების მიღებას ტრანსნაციონალური ძალებისა და გავლენების სწრაფ ზრდას უკავშირებს, ამტკიცებს, რომ რამდენიმე მრავალმხრივი ხელშეკრულების ამოქმედებამ დააჩქარა კვოტების გამოყენება მსოფლიოში. ასეთი შემთხვევებიდან პირველი გახლდათ სწორედ ქალთა მიმართ 1979 წელს ხელმოწერილი „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის კონვენცია“ (CEDAW), რომელმაც მოუწოდა რატიფიცირებულ წევრებს განახორციელონ პოზიტიური სამოქმედო პროგრამები ეროვნულ საკანონმდებლო დონეზე ქალების პოლიტიკური წარმომადგენლობის ზრდის უზრუნველსაყოფად (Krook 2014). პეკინის სამოქმედო პლატფორმის ხელმომწერმა ქვეყნებმა 1995 წელს გადადგეს მნიშვნელოვანი ნაბიჯი ამ ტენდენციის ხელშესაწყობად და მიზნად დასახეს, მიიღონ მინიმუმ 30%-იანი ქალთა პოლიტიკური წარმომადგენლობა. სახელმწიფოები, რომლებიც გენდერულ კვოტებს იყენებენ, ჩვეულებრივ მათ კლასიფიკაციას სამ კატეგორიად ახდენენ:

ნებაყოფლობითი კვოტა (იგივე პარტიული კვოტა) - როცა პარტიები სიებში გენდერულ კვოტას ნებაყოფლობით ითვალისწინებენ;

სავალდებულო კვოტა (იგივე საკანონმდებლო კვოტა) - როცა კონსტიტუცია ან კანონი პარტიებს ავალდებულებს, საარჩევნო სიების შედგენისას დაიცვან გენდერული ბალანსი;

რეზერვირებული ადგილების კვოტა - ზოგიერთ ქვეყანაში საპარლამენტო ადგილების გარკვეული რაოდენობა დარეზერვებულია ქალებისთვის და ეს ადგილები არ შეიძლება სადავო გახადონ კაცებმა. აღნიშნული კვოტის ეს სახეობა როგორც წესი ხშირად გამოიყენება აფრიკასა და სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში (quotaproject.org).

საერთო ჯამში, გენდერული კვოტების გამოყენება ეფექტური და ქმედითი მეთოდია ქალთა წარმომადგენლობის უზრუნველსაყოფად. საინტერესოა ამ მხრივ ევროპული გამოცდილება, დასავლეთ ევროპის დემოკრატიულ ქვეყნები შესაძლოა შევადაროთ ამერიკის შეერთებულ შტატებს, რადგან ორივე შემთხვევაში თითქმის მსგავსია სოციალურ-ეკონომიკური და დემოკრატიული განვითარების ინდიკატორები (Brechenmacher S., 2018), თუმცა შეერთებული შტატები დასავლურ დემოკრატიებს მნიშვნელოვნად ჩამორჩება ქალთა პოლიტიკური წარმომადგენლობით.

პოლიტიკაში გენდერული კვოტირების შემოღებამ დასავლეთ ევროპაში - მათ შორის ბელგიაში, დანიაში, საფრანგეთში, გერმანიაში, იტალიაში, ნიდერლანდებში, ესპანეთსა და გაერთიანებულ სამეფოში მნიშვნელოვნად გაზარდა ქალთა რეპრეზენტაცია და დღეისათვის მათ მიერ მოპოვებული მანდატების წილი ეროვნულ დონეზე 30%-იან მაჩვენებელს აღემატება. აღსანიშნავია, რომ ევროპული ქვეყნებიდან სკანდინავიის ქვეყნები გენდერულ პარიტეტთან ყველაზე ახლოს აღმოჩნდნენ, სადაც ქალები საშუალოდ, პარლამენტის ცალკეულ ან ქვედა პალატებში მანდატების 41.7 პროცენტს ფლობენ, ასევე საპარლამენტო კომიტეტების თავმჯდომარეებისა და მინისტრთა კაბინეტის წევრთა პოზიციების მნიშვნელოვან წილს იკავებენ (Center for American Women and Politics, 2021). დღეისათვის არაერთმა სახელმწიფომ განახორციელა სავალდებულო გენდერული კვოტირება სათანადო აღსრულების მექანიზმებით და მიაღწია კიდეც ქალთა პოლიტიკური წარმომადგენლობის მნიშვნე-

ლოვნად მაღალ დონეს. მაგალითად, რუანდამ 2003 წელს შემოიღო სავალდებულო გენდერული კვოტა, თავდაპირველად დათქმული იყო ქალთა მინიმუმ 30 პროცენტიანი წარმომადგენლობა, თუმცა რუანდა ამჟამად მსოფლიოში ლიდერია ქალთა პოლიტიკური წარმომადგენლობით ეროვნულ დონეზე. ქალები აქ საკანონმდებლო ორგანოს ქვედა პალატის 56%-ს და ზედა პალატის მანდატების 39%-ს ფლობენ. არგენტინაში 1993 წელს მიიღეს 30 პროცენტიანი საკანონმდებლო კანდიდატთა კვოტა, ამ პერიოდისათვის ქალები საკანონმდებლო ორგანოს ორივე დონეზე საშუალოდ მხოლოდ 5%-ს ფლობდნენ ორივე პალატაში, თუმცა აღნიშნული კვოტის მუშაობის შედეგად ამ დროისათვის არგენტინაში ქალები ქვედა პალატის 37,4 %-ს და ზედა პალატის 38,9-%ს შეადგენენ (Women in National Parliaments: World Classification, 2021).

ცხადია, რომ მხოლოდ ციფრები არ წარმოადგენს თანაბარი პოლიტიკური ძალაუფლების მტკიცებულებას ამა თუ იმ ქვეყანაში. ქალები არ წარმოადგენენ ერთგვაროვან, ჰომოგენურ ჯგუფს, რადგან მათ ინტერესებსა და გამოცდილებას აყალიბებს სოციალური, რასობრივი და ეკონომიკური იერარქიები. ქალი პოლიტიკოსები რადიკალურად განსხვავებული წარმოშობისაა და მრავალფეროვან იდეოლოგიურ პერსპექტივას ავლენენ საქმიანობის პროცესში. მიუხედავად ამისა, ნებისმიერი დემოკრატიული სისტემა სარგებელს ღებულობს მრავალფეროვანი ცხოვრებისეული გამოცდილებისა და პერსპექტივის მქონე ადამიანების რეპრეზენტაციით მთავრობაში და საზოგადოებაში გაბნეული ნიჭისა და უნარების სრულყოფილი რეკრუტირებით და წარმოჩენით (Brechenmacher S., 2018).

არაერთი კვლევა ხაზს უსვამს იმ ფაქტს, რომ ქალ კანონმდებლებს ხშირად აქვთ განსხვავებული საკანონმდებლო პრიორიტეტები მამაკაცი კოლეგებისაგან განსხვავებით. მაგალითად, მათ უფრო ხშირად შეაქვთ კანონპროექტები გენდერული თანასწორობის, რეპროდუქციული ჯანმრთელობისა და ბავშვებსა და ოჯახთან დაკავ-

შირებულ საკითხებზე. ამრიგად, დღემდე მრავალი მკვლევარი იზიარებს აზრს, რომ ქალთა ნაკლებობა აშშ-ის პოლიტიკაში ასუსტებს ამერიკული დემოკრატიის ხარისხს (Sanbonmatsu K).

ამერიკულ საზოგადოებაში დღეს ფართოდ არის გავრცელებული მოსაზრება, რომ შეერთებულ შტატებში ქალებიც მამაკაცების მსგავსად მოიპოვებენ გამარჯვებას და მიაღწევენ მსგავსს მაღალ წარმომადგენლობას, მაგრამ პრობლემად რჩება კვლავაც მათი მხრიდან ნაკლები მზაობა და საკუთარ კანდიდატურის წამოყენების სურვილის დეფიციტი. ამ დისბალანსს კიდევ უფრო აძლიერებს მაჟორიტარული საარჩევნო სისტემა, თანამდებობაზე ყოფნისა და მუშაობის ძლიერი უპირატესობა მამაკაცების სასარგებლოდ, ქალების ნაკლები ხელმისაწვდომობა ფინანსურ რესურსებთან და პარტიული სტრუქტურების დაკომპლექტებასთან დაკავშირებული სისუსტეები. სწორედ აღნიშნულის საპირისპიროდ, არაერთ ევროპულ დემოკრატიებში, პროპორციული წარმომადგენლობის წესებმა, პარტიების მიერ კანდიდატთა სელექციამ და საზოგადოების მხრიდან არჩევნების დაფინანსებამ ქალთა წინსვლის უფრო ხელსაყრელი ინსტიტუციური კონტექსტი შექმნა. რამდენიმე ევროპულმა პარლამენტმა დიდი ხნის წინ გადადგა პირველი ნაბიჯები გენდერული თანასწორობის შიდა ზომების შესაფასებლად და გასაუმჯობესებლად. გარდა ამისა, ევროპელი გენდერული თანასწორობის დამცველები დღემდე წარმატებით ლობირებენ პარტიულ დონეზე გენდერული კვოტების გამოყენებას და მიზნად ისახავენ ქალი კანდიდატების სისტემური შერჩევის უზრუნველყოფას. შესაბამისად პარტიებმა შიდა და გარე ზეწოლის, ასევე საარჩევნო სტრატეგიული გათვლების გამო მიიღეს და მხარი დაუჭირეს დროებითი ზომების შემოღებას გენდერული კვოტირების სახით; არაერთ ევროპულ დემოკრატიულ ქვეყანაში პროპორციული წარმომადგენლობის წესებმა, პარტიების მიერ კანდიდატების სელექციის ღია და გამჭვირვალე სისტემამ და საარჩევნო კამპანიის დაფინანსების წეს-

მა ქალთა წინსვლის უფრო ხელსაყრელი ინსტიტუციური კონტექსტი შექმნა.

პოტენციური აქტორები გენდერული კვოტირების კამპანიაში

მიუხედავად იმისა, რომ გენდერული კვოტის საკითხის მიმართ საზოგადოებაში არაერთგვაროვანი დამოკიდებულება არსებობს, საინტერესოა იმის განსაზღვრა, თუ როგორია და რამდენად მნიშვნელოვანია ამერიკაში ქალთა მოძრაობის მიდგომები ქალთა დაბალი ეროვნული წარმომადგენლობის საკითხთან დაკავშირებით. კრუკი განსაზღვრავს პოტენციური მონაწილეობის სამ აქტორს გენდერული კვოტირების კამპანიაში, ესენია (Krook, 2014):

1. სამოქალაქო საზოგადოების აქტორები, როგორიცაა ქალთა მოძრაობები და ქალთა ჯგუფები პოლიტიკურ პარტიებში;

2. სახელმწიფო აქტორები, როგორიცაა ეროვნული ლიდერები და სასამართლო მართლმსაჯულება;

3. საერთაშორისო და ტრანსნაციონალური აქტორები, მათ შორის საერთაშორისო კოალიციები და ინსტიტუტები და ტრანსნაციონალური არასამთავრო ორგანიზაცები (Krook, 2018).

დრუდ დალერუპის აზრით, სწორედ ქალთა ჯგუფების სიძლიერე პოლიტიკურ პარტიებში, საერთაშორისო, ეროვნული და ადგილობრივი ქალთა მოძრაობები, ისევე როგორც პოლიტიკური პარტიების ნება წარმოადგენს უმნიშვნელოვანეს ფაქტორს გენდერული კვოტირების იმპლემენტირების კუთხით. აღნიშნულ კონტექსტში აღმოსავლეთ და სამხრეთ აფრიკაში სწორედ ქალთა ორგანიზაციებმა ითამაშეს უმნიშვნელოვანესი როლი კვოტირების სისტემის დამკვიდრების მიზნით. ბუნებრივია ჩნდება კითხვა, მუშაობენ თუ არა ქალთა მოძრაობები და ქალთა ჯგუფები ქალთა წარმომადგენლობის ზრდის უზრუნველსაყოფად, უჭერენ თუ არა ისინი მხარს გენდერული კვოტირებას ამერიკის შეერთებულ შტატებში? არსებული კვლევები ადასტურებს, რომ აშშ-ში არ იკვეთება მა-

თი მობილიზება და გაერთიანება გენდერული კვოტირების იმპლე-მენტირების საკითხის გარშემო, თუმცა მიუხედავად ამისა, ამერიკ-ული ქალთა მოძრაობები და ფემინისტური ჯგუფები აქტიურად ცდილობენ და მუშაობენ პოლიტიკაში ქალთა ჩართულობის ხელ-შესაწყობად. მათ მიერ განხორციელებული სამუშაოს დიდი ნაწილი სპეციფიურ აქცენტებს აკეთებს ისეთ სტრატეგიებზე, რომლებიც მიზნად ისახავენ ხელი შეუწყონ ინდივიდუალურად ქალებს, განსა-კუთრებული ყურადღება ეთმობა ქალთა სასწავლო პროგრამების საჭიროებას, მიუხედავად იმისა, რომ ათობით ქვეყანამ მიიღო სრუ-ლიად სხვა, გაცილებით უფრო „სწრაფი“ და ეფექტური გზა ქალთა დაბალი პოლიტიკური წარმომადგენლობის პრობლემის დასაძლე-ვად გენდერული კვოტირების სახით (Krook, Mona Lena, 2006).

გენდერული კვოტირების იმპლემენტირების ხელისშემშლელი ფაქ-ტორები ამერიკის პოლიტიკური სისტემაში

გენდერული კვოტირება არასოდეს არ ყოფილა ამერიკული საზოგადოებრივი პოლიტიკური დღის წესრიგის დებატების ცენ-ტრალური საკითხი. კრუკი აზუსტებს და გამოჰყოფს ამერიკის პო-ლიტიკური ლანდშაფტის სამ ფართო მახასიათებელს, რომლის გა-მოც დღემდე ვერ მოხერხდა ამერიკაში გენდერული კვოტირების იდეის რეალიზება (Krook 2014):

➢ერთ-ერთ მნიშვნელოვან ფაქტორს წარმოადგენს რეალობა, რომ ამერიკელ ქალებს არ გაჩნიათ ზუსტი და ფართო ცოდნა იმის შესახებ, თუ რა მასშტაბები გააჩნია ქალთა არასაკმარის პოლიტი-კურ წარმომადგენლობას მათ ქვეყანაში; აღსანიშნავია თავად ფაქ-ტი, რომ ამერიკელთა დიდი ნაწილი ძირითადად კი ქალები, გადა-ჭარბებულად აფასებენ ქალთა რაოდენობას კონგრსეში და ა.შ. სწო-რედ ამიტომ ნაკლებად არის მოსალოდნელი უახლოეს მომავალში დაიწყოს კამპანიები გენდერული კვოტირების მოთხოვნით;

➢პოზიტური სამოქმედო პროგრამების არარსებობა აშშ-ი და პრეტენზიების პოლიტიზირება არასაკმარისად წარმოდგენილ სხვადასხვა ჯგუფებში კიდევ უფრო ართულებს და ბუნდოვანს ხდის ქალთა მოთხოვნებს;

➢ბოლო პერიოდში სხვადასხვა ქვეყნებში ჩატარებული წარმატებული კვოტირების კამპანიების უმრავლესობა მოიცავს ისეთ საერთაშორისო კომპონენტს, როგორიცაა საერთაშორისო ორგანიზაციების მხრიდან ზეწოლა. შეერთებული შტატების გლობალური ჰეგემონიური ეკონომიკური და პოლიტიკური მდგომარეობა კი ავტომატურად გულისხმობს იმას, რომ ის არ ექვემდებარება იგივე საერთაშორისო ზეწოლას ეროვნულ დონეზე ქალთა წარმომადგენლობის გაზრდის მიზნით (Krook 2014).

სწორედ ამ სამი ფაქტორის გათვალისწინებით კრუკი ეჭქვეშ აყენებს გენდერული კვოტირების კამპანიის ეფექტურად განხორციელების შესაძლებლობას და პერსპექტივებს შეერთებულ შტატებში, რომლებიც მისი აზრით წარმოადგენენ აბსოლუტურ ბარიერს გენდერული კვოტირების იმპლემენტირების მიმართულებით.

სტადლარი ამტკიცებს, რომ ქალი კანდიდატების კვოტირების სისტემა არის წარმოუდგენელი და შეუთავსებელი დეცეტრალიზებული პარტიული სისტემისა და ასევე ინდივიდუალისტური ამერიკული პოლიტიკური კულტურისათვის, რომელიც ახდენს საარჩევნო სისტემისა და მასთან ასოცირებული პოლიტიკური ინსტიტუტების იდენტიფიცირებას, როგორც მკაფიო ფაქტორის, რომელიც ხელს უშლის ქალთა რაოდენობის ზრდას წარმომადგენლობით პალატაში (Studlar 2008). იგი თავის ნაშრომში ასევე ხაზს უსვამს სოციო-ფსიქოლოგიურ ფაქტორებს, რომლითაც იგი ცდილობს ახსნას, თუ რატომ იღებს მონაწილეობას ესოდენ ცოტა ქალი არჩევნებზე და აღნიშნულ ფაქტორს სწორედ ამერიკულ ინდივიდიალისტურ კულტურას უკავშირებს.

ფარდობითი უმრავლეობის მაჟორიტარული საარჩევნო სისტემა (FPTP), რომელიც აშშ-ში გამოიყენება, არ მიიჩნევა როგორც ქალთა წარმომადგენლობის ხელშემწყობ საარჩევნო სისტემად, თუმცა არც შეუძლებელს ხდის ამ მიზნის მიღწევას: FPTP-სისტემები სულაც არ გამორიცხავს უფრო მეტი ქალის არჩევას წარმომადგენლობით ორგანოებში, მიუხედვად იმისა, რომ ნომინირების დაბალანსება შეუძლებელია ერთმანდატიანი საარჩევნო ოლქების არსებობის პირობებში. პარტიებმა, რომლებიც გადაწყვეტენ უფრო მეტი ქალის არჩევას, შესაძლოა შეიმუშაონ კანდიდატების შერჩევის ახალი პრაქტიკა, რათა მიაღწიონ დასახულ მიზანს, როგორიც არის ყველა ქალი სიებში, რომელიც უზრუნველყოფს იმის გარანტიას, რომელი კანდიდატიც არ უნდა აირჩეს იმ საარჩევნო ოლქში, ის აუცილებლად იქნება ქალი.

ინდოეთში, როგორც ფარდობითი უმრავლესობის მაჟორიტარული საარჩევნო სისტემის (FPTP) მქონე ქვეყანაში, კვოტები წლებია რაც ამ ქვეყნის პოლიტიკური ცხოვრების განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს. ქალთა დათქმის შესახებ კანონპროექტი 1990 წლიდან იძლევა საშუალებას და ინახავს მანდატების ქალებისათვის სულ მცირე 33%-ს ეროვნულ დონეზე როტაციის გამოყენებით, კერძოდ რაიონის ერთი მესამედი ქალებისათვის არის განკუთვნილი.

გენდერული კვოტირების საკითხის გარშემო მოძიებული და შესწავლილი მასალა გვთავაზობს სხვადასხვა ახსნას, თუ რატომ არ გააჩნია საკანონმდებლო კვოტას მხარდაჭერა ამერიკულ საზოგადოებაში და როგორ უდგებიან დრუდ დალერუპის და ფრაიდენვალის მიერ გენდერული კვოტირების ინიციატივისათვის სულისჩამდგმელად მიჩნეული ქალთა მოძრაობის წარმომადგენლები აღნიშნულ საკითხს? როგორ განიხილავენ და ხსნიან ისინი პოლიტიკაში ქალთა ესოდენ დაბალ წარმომადგენლობას? ჩვენს მიერ შესწავლილი მასალების ანალიზის შემდეგ აღმოჩნდა, რომ ისინი უმეტესწილად მხარს არ უჭერენ საკანონმდებლო კვოტის განხორციელების

სტრატეგიას და ჩარევის სხვა მექანიზმებთან შედარებით მხოლოდ ერთ ტიპს ანიჭებენ უპირატესობას, ეს არის ქალთა ინდივიდუალური მახასიათებლების იდენტიფიკაცია, როგორც მათი არასაკმარისი დაბალი წამომადგენლობის ახსნის ძირითადი ფაქტორი პოლიტიკაში. ქალთა საკითხებზე მომუშავე ფემინისტური ორგანიზაციების საქმიანობის შესწავლის შემდეგ გამოიკვეთა ორი განსხვავებული ახსნა, რომელთაგანაც ერთი ფსიქოლოგიურ ფაქტორებზე, ხოლო მეორე კი სოციო-ეკონომიკურ ფაქტორზე აკეთებს აქცენტს.

პირველი მიდგომა ეფუძნება მოსაზრებას, რომ ქალებს სჭირდებათ ირწმუნონ საკუთარი შესაძლებლობები, შეიძინონ თავდაჯერებულობა და სწორედ ამ პრობლემის დაძლევით იქნება შესაძლებელი მიღწეული იქნას გენდერული ბალანსი პოლიტიკაში. მეორე ფაქტორი კი უკავშირდება დედობის პასუხისგებლობას და ქალების ფინანსურ რესურსებთან წვდომის ნაკლებობას, რაც აუცილებელია პოლიტიკაში (Studlar 2008). სტადლერი კი მიიჩნევს, რომ აშშ-ს წარმომადგენელთა პალატაში ქალთა დაბალი წარმომადგენლობის ასახსნელად საარჩევნო სისტემის და მასთან დაკავშირებული პოლიტიკური ინსტიტუტების გავლენის არგუმენტმა ბოლო პერიოდში უფრო მყარი საფუძველი შეიძინა და სხვა მოსაზრებებმა რეალურად ძალა დაკარგეს. როგორც თავად აცხადებს, ბოლო ათწლეულის განმავლობაში მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა ზოგადი სოციალურ-ეკონომიკური პირობები შეერთებულ შტატებში, რომელიც გავლენას ახდენს ქალებზე, შესაბამისად ისინი აღარ არიან დღეს ისეთივე დაუცველები როგორიც უწინ. უფრო მეტიც, აქტიური ფემინისტური ჯგუფების დახმარებით ქალებს აქვთ საკუთარი საარჩევნო კამპანიის ფინანსური მხარდაჭერაც.

აღნიშნული მოსაზრების მიუხედავად, შეუძლებელია იმ ფაქტის უგულებელყოფა, რომ დღეს საგანმანათლებლო და პროფესიულ სფეროებში მიღწეული წარმატებების მიუხედავად, ქალები ამერიკულ პოლიტიკაში კვლავაც არასათანადოდ არიან წარმოდგე-

ნილნი. მკვლევრები კვლავ გამოყოფენ და შეისწავლიან იმ კომ-პლექსურ როლებს, რომელსაც გენდერი თამაშობს საარჩევნო პო-ლიტიკაში. ადგილობრივი პარტიული ჩინოვნიკების გამოკითხვები ცხადყოფს, რომ ზოგიერთი პარტიული გეითქიფერი უპირატესობ-ას კვლავაც მამაკაც კანდიდატს ანიჭებს (Niven 1998). საარჩევნო კამ-პანიების შესახებ ჩატარებული კვლევები ცხადყოფს, რომ გენდერუ-ლი სტერეოტიპები გავლენას ახდენენ მედიაზე და ამომრჩევლის ცნობიერება კვლავაც ეფუძნება სტერეოტიპულ წარმოდგენებს მამა-კაცისა და ქალის თვისებებისა და მახასიათებლების შესახებ (Fox 1997). ერთ-ერთი ფუნდამენტური ბარიერი ქალთა პოლიტიკური მონაწილეობის შესახებ მომდინარეობს ტრადიცული გენდერული სოციალიზაციიდან, გენდერული როლებიდან. მეცნიერები მიიჩნე-ვენ, რომ პოლიტიკიდან ქალთა ისტორიულმა გარიყვამ ტრადიცი-ულ გენდერულ როლებთან ერთად ხელი შეუწყო მასკულინირე-ბულ საარჩევნო ეთიკის დამკვიდრებას პოლიტიკაში (Carroll 1994; Enloe 2004). ფლამანგი ამტკიცებს, რომ მამაკაცის დომინირება პო-ლიტიკაში და სახელმწიფო ინსიტუტებში, რომლებიც ტრადიცი-ულად ეწინააღმდეგებოდნენ ქალთა აქტიურ ჩართულობას, ართუ-ლებს ქალებში საკუთარი თავის პოლიტიკოსად თვითაღქმას. გენ-დერულ სოციალიზაციას საბოლოოდ მივყავართ იმ შედეგამდე, რომ დროთა განმავლობაში მამაკაცებს უვითარდებათ საკუთარი შესაძლებლობებისადმი რწმენა და კანდიდატად მაღალი თავდაჯე-რებულობის შეგრძნება. როგორც თომასი მიიჩნევს, ტრადიცული სოციალიზაცია დაბლა სწევს ქალებში საკუთარი ძალებისადმი რწმენას და, როგორც წესი, მათ ნაკლებად წარმოუდგენიათ საკუთა-რი თავი სასურველ კანდიდატად და პოლიტიკოსად (Thomas 1991). უფრო მეტიც, მაშინ როდესაც მამაკაცებს თავიდანვე ასწავლიან, რომ იყვნენ თავდაჯერებულები, მიზანსწრაფულები და შეუპოვრე-ბი საკუთარი მიზნებისათვის ბრძოლაში, არსებული კულტურული მოდელი ქალების შემთხვევაში საკუთარ ნეგატიურ ანაბეჭდს ტო-

ვებს. ტრადიცული სოციალიზაციის მოდელი დაბლა სწევს ქალებში თვითდაჯერებულობის ხარისხს, შესაბამისად გავლენას ახდენს მათ სურვილებზე იყვნენ კანდიდატები და კენჭი იყარონ სხვადასხვა წარმომადგენლობით ორგანოებში. ხშირად საზოგადოება შეუსაბამოდ და არასასურველად მიიჩნევს მამაკაცი პოლიტიკოსისაგან განსხვავებით ზემოჩამოთვლილი მახასიათებლების საჭიროებას ქალი პოლიტიკოსების შემთხვევაში. გენდერული სოციალიზაციის აღნიშნულ მოდელს შედეგად მოაქვს ის, რომ დროთა განმავლობაში მამაკაცებს უვითარდებათ მეტი თვითდაჯერებულობა და რწმენა საჯარო პოლიტიკაში საკუთარი შესაძლებლობების მიმართ.

ამერიკულ ქალთა ორგანიზაციების მიერ განხორციელებული ღონისძიებები ქალთა გაძლიერების მიმართულებით

ამერიკის შეერთებული შტატების ქალთა მოძრაობამ შეიმუშავა რიგი ინიციატივები ქალთა არასაკმარისი პოლიტიკური წარმომადგენლობის დასაძლევად. ამერიკის ქალთა ეროვნული ორგანიზაცია (NOW) თავის პოლიტიკური სამოქმედო კომიტეტით მონაწილეობდა ქალთა პოლიტიკაში ჩართულობის პოპულარიზაციის კამპანიაში. მიუხედავად იმისა, რომ არსებობს ქალთა ჯგუფების ქსელი, რომლებიც მუშაობენ ქალთა რაოდენობის გაზრდის მიზნით წარმომადგენლობით სტრუქტურებში, დღემდე არ არსებობს ერთიანი და კოორდინირებული მიდგომა ქალთა საკითხთან დაკავშირებით.

იელის უნივერსიტეტის ქალთა კამპანიის სკოლა (The Women’s Campaign School) წარმოადგენს ამერიკელი ქალებისათვის პოლიტიკური კამპანიის სასწავლო პროგრამას მთელი ქვეყნის მაშტაბით, რომელიც უტარებს ტრენინგებს და ასწავლის ქალებს, თუ როგორ წარმართონ წარმატებული საარჩევნო კამპანია. ყოველწლიურად იელის უნივერსიტეტის საზაფხულო სესია აერთიანებს როგორც ამერიკის, ასევე მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის ქალებს, რათა

გაეცნონ, შეიძინონ საჭირო უნარები და შეისწავლონ სხვადასხვა სტრატეგიები წარმატებული საარჩევნო კამპანიის წარმართვისათვის. ეს არის ხუთდღიანი, ინტენსიური პოლიტიკური პროგრამა, რომელიც ეხმარება პოლიტიკაში უკვე ჩართულ ქალებს მართონ კულტურული გამოწვევები.

ამერიკელ ქალთა და პოლიტიკის ცენტრი - (Center for American Women and Politics) 1971 წელს დაფუძნდა რატგერსის უნივერსიტეტში, მაშინ როდესაც ჯერ კიდევ 2 ქალი იყო წარმოდგენილი ამერიკის სენატში და 13 წარმომადგენელთა პალატაში. დღეისათვის ცენტრი სთავაზობს მრავალფეროვან და საინტერესო პროგრამებს ქალთა სხვადასხვა ჯგუფებს. მათი საქმიანობის ცენტრალურ საკითხს კვლავაც ქალთა პოლიტიკური მონაწილეობის შესახებ ცნობიერების ამაღლება და მონაწილეობის გაფართოება წარმოადგენს. ცენტრის პროგრამის ფარგლებში, ორი კვირის განმავლობაში მონაწილეები ხვდებიან არჩეულ საჯარო მოხელეებს და აქტივისტებს და ეცნობიან ქალთა როლებს პოლიტიკაში. ე.წ „Ready to Run“, წარმოადგენს არაპარტიული კამპანიის სასწავლო პროგრამას, რომელშიც ქალები სწავლობენ საარჩევნო კენჭისყრის პროცედურიდან დაწყებული მათთვის საჭირო ყველა იმ კომპონენტეს, რაც ქალი კანდიდატისთვის არის აუცილებელი, მათ შორის ფანდრაიზინგს, იძენენ მედიასთან ურთიერთობისათვის საჭირო უნარებსა და ცოდნას, ეცნობიან საუკეთესო პრაქტიკებს და საჯარო თანამდებობებზე პოზიციონირების წარმატებულ სტრატეგიებს. აღნიშნული პროგრამა ასევე სთავაზობს მრავალფეროვან აქტივობებს სხვადასხვა ეთნოსის ქალებს, თითოეული მათგანი შექმნილია კონკრეტული ეთნიკური ქალთა ჯგუფებისთვის როგორიცაა: აფრიკული დიასპორის ქალები, ლათინოსები, აზიელი ამერიკელები და ა.შ.

„ახალი ლიდერობის“ - (NEW Leadership) პროგრამა 1991 წელს შეიქმნა და ძირითად ფოკუსს პოლიტიკაზე ახდენს. „ახალი ლიდერობის საზაფხულო ინსტიტუტი“ - ეს არის ექვსდღიანი, ინტენსიუ-

რი პროგრამა, რომლის მიზანია კოლეჯელი ქალების ფოკუსირება პოლიტიკაზე, ორიენტირებულია გააცნოს და შეასწავლოს მათ, თუ როგორ ხდება პოლიტიკის შემუშავება, ცდილობს ხელი შეუწყოს მათ სტიმულირებასა და ჩართვას პოლიტიკურ პროცესებში. სტუდენტებს აქვთ საშუალება შეხვდნენ საზოგადოებრივ სფეროში სხვადასხვა როლებში მყოფ ქალებს; ეცნობიან იდეებსა და შეისწავლიან ლიდერობას პოლიტიკაში, მონაწილეობას იღებენ პრაქტიკულ უნარ-ჩვევების გამომუშავებაზე ორიენტირებულ სავარჯიშოების შესრულებასა და აქტივობებში. სტუდენტები ხვდებიან ქალებს, რომლებიც ქმიან საჯარო პოლიტიკას ამერიკაში, როგორც რჩეულები, სახალხო აზრის ლიდერები და წარმატებული დამცველები. მოგვიანებით აღნიშნული პროგრამა სხვა პროგრამების შთაგონების მაგალითად იქცა და შესაბამისად, ამ დროისათვის შეერთებული შტატების მასშტაბით ბევრ კოლეჯსა და საუნივერსიტეტო კამპუსში ფუნქციონირებს და ათასობით კურსდამთავრებულს ითვლის.

„ქალები, ამერიკის უნივერსიტეტის პოლიტიკის ინსტიტუტი“ (Women & Politics Institute at American University) 2000 წელს დაარსდა, აღნიშნული ინსტიტუტის მიზანია ქალების მომზადება ლიდერობისათვის. ინსტიტუტის პროგრამები მონაწილეებს უზრუნველყოფს საჭირო უნარ-ჩვევებით, რომლებიც აუცილებელია საჯარო თანამდებობის დასაკავებლად, სხვადასხვა დონეზე პოლიტიკური კარიერის დასაწყებად და ავითარებს მათში ლიდერობის შესაძლებლობებს. პროექტი სთავაზობს სასერთიფიკატო პროგრამებს პროგრამაში ჩართულ როგორც დამამთავრებელ საფეხურზე მყოფ, ასევე კურსდამთავრებულებს ქალებს პოლიტიკასა და პოლიტიკურ ლიდერობაში. არსებობს მისი კიდევ ერთ-ერთი ასევე არანაკლებ საინტერესო პროგრამა ე. წ. „WeLEAD“ („ქალები ლიდერობის გაფართოებისთვის, წინსვლისა და განვითარებისათვის“), რომელიც აკავშირებს უფროსი თაობის ვაშინგტონის ქალთა ჯგუფს ახალ-

გაზრდა თაობის წარმომადგენლებთან, რათა დაეხმარონ ისინი ახალგაზრდებს ბიზნესში, მენეჯმენტსა და საჯარო პოლიტიკაში წარმატებების მიღწევაში.

ჰარვარდის უნივერსიტეტის ბაზაზე არსებული "ქალები და საჯარო პოლიტიკის პროგრამა" (Women and Public Policy Program) - არის არაპარტიული სწავლებისა და ტრენინგების პრაქტიკული კურსი, რომელიც უზრუნველყოფს ჰარვარდის წარმატებულ კურსდამთავრებულებს სპეციალური ტრენინგებითა და სხვა სახის მხარდაჭერით, რაც დაეხმარება მათ მონაწილეობა მიიღონ საარჩევნო პროცესებში ადგილობრივ, შტატების და ეროვნულ დონეზე.

ე.წ „Running Start" - წარმოადგენს არაკომერციულ ორგანიზაციას, რომელიც 2007 წელს დაარსდა და ამზადებს საშუალო სკოლის, კოლეჯისა თუ ახალგაზრდა პროფესიონალ ქალებს, რათა განავითარონ საკუთარი შესაძლებლობები და კავშირები არჩევნებში მონაწილეობის მისაღებად, მისი მიზანია ხელი შეუწყოს ახალგაზრდა ქალებს რომ აქტიურად მოვიდნენ პოლიტიკაში და დაეხმაროთ მათ პოლიტიკური კარიერის შექმნაში. პროგრამა იმ 40 წლამდე უპარტიო ქალებს სთავაზობს ფინანსურ დახმარებს, რომლებიც კენჭს ფედერალურ ოფისში იყრიან. ორგანიზაცია წელიწადში 100-ზე მეტ ტრენინგს აორგანიზებს. აღნიშნული ორგანიზაცია მას მერე ჩამოყალიბდა, რაც მკაფიო გახდა, რომ ახალგაზრდა ქალების სივრცე, რომლებიც პოლიტიკურ კარიერაზე ფიქრობენ და სურთ კენჭი იყარონ არჩევით თანამდებობებზე, არც თუ ისე მცირერიცხოვანია. პროგრამის ორგანიზატორთა თვალსაწიერიდან, პროგრამის მიზანია, რომ ახალგაზრდა გოგონები ადრიდანვე აღჭურვოს სათანადო ცოდნითა და უნარებით პოლიტიკაში, პროგრამა უზრუნველყოფს მათში საკუთარი შესაძლებლობებისადმი რწმენას, რომელიც აუცილებელია ხვალინდელი დღის პოლიტიკური ლიდერობისთვის.

ქალთა ორგანიზაციების წარმომადგენლები ერთხმად აღირებენ, რომ ქალთა პოლიტიკური მონაწილეობა დღეს ამერიკის სა-

ხელმწიფოს პოლიტიკაში არ არის საკმარისი და მათი უმრავლესობა კვლავაც ქალთა ფსიქო-სოციალურ ფაქტორებზე მიანიშნებს, რომლითაც ისინი ცდილობენ ახსნან ამერიკულ პოლიტიკაში ქალთა არასაკმარისი წარმომადგენლობა. ქალების საჯარო პოზიციებზე არჩევისას არსებულ სხვადასხვა წინააღმდეგობებს შორის, ერთ-ერთ გამოწვევად რჩება ისეთი ფაქტორის არსებობა, როგორიცაა ქალის ბიოლოგიური და რეპროდუქციული ფუნქცია, კერძოდ კი მშობიარობა. ისინი ასევე ყურადღებას ამახვილებენ რთულ ფსიქოლოგიურ და ბიოლოგიურ ფაქტორებზე, რომლითაც ცდილობენ ახსნან, თუ რატომ არ მონაწილეობენ და არ იბრძვიან დღეს ამერიკელი ქალები პოლიტიკური თანამდებობებისთვის. აღნიშნული ორგანიზაციების წარმომადგენლები მიიჩნევენ, რომ მათ მიერ განხორციელებული სასწავლო პროგრამები ამსუბუქებს სწორედ ამ ფსიქოლოგიურ ფაქტორებს და ხელს უწყობს კურსდამთავრებულ ქალებში საკუთარი შესაძლებლობისადმი რწმენას.

ამერიკის ქალთა ორგანიზაციები უდავოდ ხელს უწყობენ და აძლიერებენ ახალგაზრდა კურსდამთავრებულ ქალებში საკუთარი შესაძლებლობებისადმი რწმენას, მათ პოლიტიკურ ამბიციებს, რომ მონაწილეობა მიიღონ პოლიტიკურ პროცესებში. ქალთა ორგანიზაციების წარმომადგენლები, რომლებიც აქტიურად არიან ჩართულები აღნიშნული სასწავლო პროგრამების განხორციელებაში, ამ პროგრამებს საუკეთესო მექანიზმად მიიჩნევენ, რომელიც ზრდის ნდობას და უზრუნველყოფს კოლეჯელ ქალებს შესაბამისი ცოდნითა და რეალური შესაძლებლობებით და რაც მთავარია, მიიჩნევენ პოლიტიკური კულტურის შეცვლის საუკეთესო მექანიზმად.

დღეს ქალთა პოლიტიკური გაძლიერების პროგრამების ორგანიზატორები ძირითადად ორი ტიპის ინტერპრეტაციას გვთავაზობენ ამერიკულ პოლიტიკურ სისტემაში არსებული გენდერული უთანასწორობის ასახსნელად, ესენია: პოლიტიკური სტრუქტურები და გენდერული სოციალიზაცია. ისინი თვლიან, რომ ამერიკული

პოლიტიკური კულტურა არა მარტო მხარს არ უჭერს ქალის პოლიტიკურ ლიდერობას, არამედ ფაქტიურად აფერხებს კიდეც ქალთა პოლიტიკურ წარმატებასაც. სწორედ ამ პრობლემის დასაძლევად, მათი პროგრამები არამარტო უზრუნველყოფს ახალგაზრდა ქალებს პოლიტიკისათვის საჭირო ცოდნითა და უნარებით, არამედ შეასწავლის მათ პოლიტიკას, პოლიტიკური პროცესებსა და ლიდერობას.

„ქალთა ეროვნული ორგანიზაცია“ (NOW), რომელსაც ბრეტი ფრიდანმა და მისმა თანამოაზრეებმა ჩაუყარეს საფუძველი, სავარაუდოდ დღემდე ყველაზე უფრო გავლენიან ამერიკულ ქალთა ორგანიზაციად რჩება, რომელიც თავდაპირველად ქალთა თანასწორობის მისაღწევად შეიქმნა. ორგანიზაციას აქვს საკუთარი მკაფიო სტრატეგია, თუ როგორ დაძლიოს და გაზარდოს ქალთა დაბალი პოლიტიკური მონაწილეობა ეროვნულ დონეზე. აღნიშნული ორგანიზაცია ამჯერად აქტიურად ახორციელებს და ახდენს კიდეც ეროვნულ პოლიტიკაში ქალთა ჩართულობის ხელშეწყობასა და პოპულარიზაციას. ორგანიზაციას გააჩნია მეტად მნიშვნელოვანი პროგრამა - „არჩეული ქალები ცვლილებებისათვის“ (“Elect Women For A Change Program“), რომელიც მიზნად ისახავს ფემინისტების არჩევას და მათ მხარდაჭერას ხელისუფლების ყველა დონეზე, რაც ამ ორგანიზაციის ქალთა უფლებათა ადვოკატირების სტრატეგიის უმნიშვნელოვანეს კომპონენტს წარმოადგენს.

1968 წელს, NOW-ს შექმნიდან ორი წლის შემდეგ, ორგანიზაციას მიეცა საშუალება აქტიურად ჩართულიყო საარჩევნო პოლიტიკაში. 1977 წელს „ქალთა ეროვნულმა ორგანიზაციამ“ შექმნა საკუთარი „პოლიტიკური მოქმედების კომიტეტი“ (PAC), რათა მხარი დაეჭირა ფემინისტი კანდიდატებისათვის სახელმწიფო და ადგილობრივ დონეებზე და დღემდე აქტიურად ეწინააღმდეგება კენჭისყრას ისეთ საკითხებზე, რომლებმაც შესაძლოა უარყოფითი გავლენა იქონიოს ქალთა უფლებებზე. გარდა ამისა, ისინი მხარს უჭერენ

და მუდმივად ეძიებენ თანხებს ქალი კანდიდატების პოლიტიკური კამპანიისთვის. 2007 წელს, NOW– ის პოლიტიკურმა კომიტეტმა მოიწონა და მხარი დაუჭირდა ჰილარი კლინტონის წარდგენას შეერთებული შტატების საპრეზიდენტო კანდიდატად და შეიმუშავა სპეციალური კამპანია „შექმენით ისტორია ჰილართან ერთად“, რომელიც უზრუნველყოფდა მხარდამჭერებს შესაბამისი ტრენინგებით, რესურსებით და სხვა საშუალებებით, რათა ჰყოლოდათ კარგად ინფორმირებული, შესაბამისი ცოდნიდა და უნარებით აღჭურვილი მოხალისეები კლინტონისა და სხვა ფემინისტი კანდიდატების საარჩევნო კამპანიის პროცესში (Krook 2018).

რაც შეეხება ამერიკაში პარტიათა პოლიტიკას და მათ დამოკიდებულებას ქალთა პოლიტიკური წარმომადგენლობის საკითხის მიმართ, როგორც დემოკრატებმა, ასევე რესპუბლიკურმა პარტიებმა გარკვეული დრო დაუთმეს კვოტირების საკითხის განხილვას ეროვნულ დონეზე. (Krook 2018). თუმცა საბოლოო ჯამში აღნიშნულ განხილვებს დადებითი ცვლილებები და რაც მთავარია ქალთა წარმომადგენლობის ზრდა მაინც არ მოჰყოლია. დღეისათვის დემოკრატიულ პარტიას აქვს შემუშავებული საკუთარი ტრენინგების პროგრამა ე.წ. „Emerge America“ ქალებისათვის, ხოლო რესპუბლიკელ ქალებს კი აქვთ შესაძლებლობა მონაწილეობა მიიღონ კამპანიის მენეჯმენტის სკოლაში, რომელსაც მათ სთავაზობს „რესპუბლიკელ ქალთა ეროვნული ფედერაცია“. აღნიშნულ სკოლაში ქალებს შეასწავლიან, თუ როგორ უნდა მიიღონ მონაწილეობა როგორც ლიდერებმა საარჩევნო პოლიტიკაში, ხელისუფლებაში, საზოგადოებრივ ორგანიზაციებსა და თუ კერძო სექტორში. გარდა ამისა, ორივე პოლიტიკურ პარტიას აქვს ქალებისათვის საკუთარი დაფინანსების პროგრამა: ე.წ „EMILY’S LIST“ და „WISH LIST“-ის სია რესპუბლიკელებისათვის, რომელიც მხარს უჭერს და ლობირებს მათი პარტიის ქალების პოლიტიკურ წარმომადგენლობას სენატსა და წარმომადგენელთა პალატაში.

ქალთა ორგანიზაციების მუშაობის პრიორიტეტების შესწავლის შედეგად შეიძლება დავასკვნათ, რომ ქალთა არც ერთ ჯგუფს არ დაუყენებია დღის წესრიგში საკანონმდებლო კვოტირების საკითხი და მათ შორის არც „ამერიკის ქალთა მოძრაობას“, რომელიც თავისუფლად შეეძლო ყოფილიყო ამერიკულ პოლიტიკურ სისტემაში კვოტირების იმპლემენტირების მთავარი ლობისტი, თუმცა მან რეალურად უარი განაცხადა აღნიშნული მექანიზმის გამოყენებასა და მხადაჭერაზე.

დასკვნა

სტატიაში შესწავლილი და განხილული იქნა ამერიკელ ქალთა მოძრაობის ყველა ის თვალსაჩინო ინიციატივა, რომელიც აქტიურად გამოიყენება პოლიტიკაში ჩართულობის მსურველ ქალთა პოპულარიზაციისა და გაძლიერების კუთხით. ჩვენს მიერ შესწავლილი ჯგუფების მიერ განხორციელებული სამოქმედო სტრატეგიები შესაძლოა შეფასებული იქნას მათი მხრიდან საარჩევნო პოლიტიკისათვის ქალთა მომზადების ერთგვარ მცდელობად, რომლითაც ისინი ცდილობენ შესძინონ ქალებს პოლიტიკისა და საჯარო სივრცეში პოზიციონირებისათვის საჭირო უნარები, რათა მომავალში წარმოჩინდნენ ძლიერ და პოტენციურ კანდიდატებად. ისინი უარს აცხადებენ სავალდებულო გენდერული კვოტირების მოთხოვნით დაუპირისპირდნენ არსებულ პოლიტიკურ ინსტიტუტებს. განსაკუთრებით შესამჩნევია ეს ამერიკელ ქალთა მოძრაობაში. აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ ამავდროულად სხვა პოტენციური აქტორები, როგორიცაა პოლიტიკური ლიდერები, პოლიტიკური პარტიები და საერთაშორისო ორგანიზაციები ასევე ნაკლებად არიან დაინტერესებული აქტიურად ჩაერთონ ქალთა პოლიტიკური წარმომადგენლობის ზრდის სტრატეგიების ფორმირებაში. თავად ფაქტი, რომ ამ დრომდე შეერთებულ შტატებში ადგილი არ ჰქონია არანაირი სახის სერიოზულ კამპანიას სავალდებულო კვოტირების მოთხოვნით, ძირითადად განპირობებულია კვოტირების იდეის

გარშემო ქალთა ორგანიზაციების მობილიზების არარსებობით. ლიბერალ ფემინისტების მიერ პოლიტიკურ ლიდერებთან თანამშრომლობა კიდევ ერთხელ ხაზს უსვავს იმ ფაქტს, რომ არ არსებობს რადიკალური მიდგომები პოლიტიკაში არჩეული ქალების დაბალი რაოდენობრივი წარმომადგენლობის დასაძლევად.

ფემინისტური თვალსაზრისით, სასწავლო პროგრამები ქალებისათვის, რომელთაც სურთ პოლიტიკაში მოსვლა, ეფუძნება პრობლემურ ჰიპოთეზებს, რომლის ეფექტურობის დამტკიცება ძალზედ რთულია. ისინი აქცენტებს აკეთებენ ისეთ ფუნდამენტურ საკითხებზე, როგორიცაა ქალთა ინდივიდუალური მახასიათებლები (კამპანიის გამოცდილება, რწმენა, ქსელური უნარები და ა.შ.) და არ ახდენენ ქალთა წარმომადგენლობაზე პოლიტიკური სტრუქტურებისა და მათი გავლენების იდენტიფიკაციას. ქალთა ორგანიზაციები კვლავაც ინარჩუნებენ სტატუს კვო მიდგომას პოლიტიკური ინსიტუტებისადმი, მაშინ როდესაც პოლიტიკის დღის წესრიგში ფართო კითხვები ჩნდება წარმომადგენლობითი დემოკრატიის ფუნქციონირების მხრივ. ფაქტია, რომ ქალებისათვის განკუთვნილი სასწავლო პროგრამები უკიდურესად პოპულარულია და სწრაფად ივსება წლიდან წლამდე შესაბამისი მსურველებით, რაზეც მეტყველებს მასში მონაწილეთა მზარდი რაოდენობა. თუმცა გარკვეულწილად ეჭვქვეშ დგება ამ პროგრამათა რეალური გავლენა და ეფექტურობა, თუ მხედველობაში მივიღებთ იმ ფაქტს, რომ ბოლო წლებში ქალთა წარმომადგენლობა აშშ-ში მხოლოდ უმნიშვნელოდ იზრდებოდა და შესაბამისად ქალები დღესაც ნაკლებად გვევლინებიან პოლიტიკურ ლიდერებად. შეიძლება დავასკვნათ, რომ შეერთებული შტატები მნიშვნელოვნად ჩამორჩება დღეს კონსოლიდირებულ ევროპულ დემოკრატიებს ქალთა წარმომადგენლობის მაჩვენებლით პოლიტიკაში. ქალები კვლავაც ნაკლებად რჩებიან წარმოდგენილი ფედერალურ, შტატების და ადგილობრივ დონეებზე. იმისათვის, რომ შეერთებული შტატები ევროპული დემოკრატიების მსგავსად პასუ-

ხობდეს წარმომადგენლობითი დემოკრატიის უმთავრეს მოთხოვნებს, პოლიტიკის შემქნელებმა და უფლებადამცველებმა უნდა გაანალიზონ პირველ რიგში ის მნიშვნელოვანი უთანასწორობა და ბარიერები, რომელსაც ქალები აწყდებიან არჩევითი თანამდებების დასაკავებლად. საჯარო სამსახურში გენდერული თანასწორობის დაცვის ძალისხმევა და პოლიტიკა უწინარეს ყოვლისა გულისხმობს შემდეგი მექანიზმების განხორციელებას:

• უნდა ხდებოდეს გენდერული თანასწორობისა და ქალთა გამოცდილების შესახებ არსებული მონაცემების სისტემატიზაცია კონგრესის, შტატების საკანონმდებლო ორგანოებისა და მთავრობის აღმასრულებელ შტოებში, რაც ხელს შეუწყობს ქალთა წინსვლის შემაფერხებელ თანამედროვე ბარიერების იდენტიფიკაციასა და დაძლევას;

• უნდა მოხდეს ე.წ „ოჯახის სამუშაო პოლიტიკის“ გაუმჯობესება. საკანონმდებლო ორგანომ უნდა შემოიღოს და დანერგოს ოჯახებისათვის მეგობრული სამუშაო გარემოს შექმნის მექანიზმები, მათ შორის სამართლიანი სამუშაო განრიგი დედებისათვის, დისტანციურად მუშაობის პარამეტრები, ლაქტაციის ოთახებზე წვდომა და ისეთი მნიშვნელოვანი ბენეფიტები, როგორიცაა ანაზღაურებადი შვებულება და ბავშვებისათვის ხელმისაწვდომი და მოქნილი ზრუნვა ქალების მოზიდვისა და შენარჩუნების მიზნით;

• პოლიტიკური პარტიებისთვის შემოღებული უნდა იქნას სავალდებულო ან ნებაყოფლობითი რეკრუტირების მექანიზმები ქალი კანდიდატების იდენტიფიცირების, დაკომპლექტებისა და მათი მხარდაჭერის მიზნით, განსაკუთრებით კი პირველ ეტაპზე და ღია კენჭისყრის პროცესში. აღნიშნული მექანიზმი ხაზს უსვამს გენდერული თანასწორობის პრინციპისადმი ერთგულებას და უზრუნველყოფს გენდერული თანასწორობის მაღალ სტანდარტს;

• უნდა მოხდეს არჩევნებში დიდი ფულის როლისა და მნიშვნელობის შემცირება. შტატებმა და ქალაქებმა უნდა დანერგონ მცი-

რე ბიუჯეტიანი დონორი ორგანიზაციების საჯარო დაფინანსების პრაქტიკა. არჩევნებში დიდი ფულის როლისა და მნიშვნელობის შესამცირებლად მცირე ზომის ორგანიზაციების საჯარო დაფინანსების მისაღებად, კონგრესმა უნდა შეიმუშაოს ისეთი ტიპის კანონმდებლობა, როგორიცაა ყოვლისმომცველი სახალხო აქტი (H.R. 1), რომელიც 116 კონგრესში დაინერგა და კვლავ იქნა შემოღებული 117-ე კონგრესზე [1](Congress, gov 2021);

• პოლიტიკური სამოქმედო კომიტეტებისათვის უნდა განისაზღვროს გენდერულად დაბალანსებული მიზნები და პოლიტიკურმა პარტიებმა კანდიდატების დაფინანსებაში არსებული უთანასწორობის დასაძლევად უნდა უზრუნველყონ პირველადი კამპანიის ფარგლებში ქალი კანდიდატების ფანდრაიზერების მხარდაჭერა, განსაკუთრებით კი რესპუბლიკური პარტიის შემთხვევაში.

გამოყენებული ლიტერატურა

- Breaking New Ground (2021). Women of Senate, United State Senate, avaliable at https://www.senate.gov/pagelayout/history/h_multi_sections_and_teasers/Photos_Women.htm (29 August 2021)
- Brechenmacher, S. (2018). Tacking Women's underrepresentation in U.S. Politics: Comparative Perspectives from Europe, available at https://carnegieendowment.org/2018/02/20/tackling-women-s-underrepresentation-in-u.s.-politics-comparative-perspectives-from-europe-pub-75315 (25 March 2021)
- Carroll, Susan J. (1994). Women as Candidates in American Politics. 2nd ed. Bloomington: Indiana University Press

[1] 2021 წელს მიღებული კანონპროექტი ამერიკის კონგრესში, რომელიც მიზნად ისახავს ხმის უფლების გაფართოებას, პოლიტიკასა და საარჩევნო კამპანიის დაფინანსებაში ფულის გავლენის შემცირებას და ეთიკის ახალი წესების შემუშავებას ფედერალური მთავრობის თანამდებობის პირებისათვის.

- Dahlerup. D., & Freidenvall, L.(2009). Quotas in Politics: A Constitutional Challenge," in Constituting Equality: Gender Equality and Comparative Constitutional Rights, ed. Susan H. Williams, Cambridge: Cambridge University Press
- Dahlerup. D., (2006). What Are the Effects of Electoral Gender Quotas? From Studies of Quota Discourses to Research on Quota Effects. Paper presented at the International Political Science Association World Congress, Fukuoka, Japan
- Dahlerup D., (2005). No Quota Fever in Europe." In The Implementation of Quotas: European Experiences, edited by Ballington J., Binda F., 18–22. Stockholm, Sweden: International Institute for Democracy and Electoral Assistance"
- Downey K. (2009). The Woman Behind the New Deal: The Life of Frances Perkins, FDR'S Secretary of Labor and His Moral Conscience (Random House)
- H.R.1 – For the People Act of 2021. 117 th Congress (2021-2022), avaliable at https://www.congress.gov/bill/117th-congress/house-bill/1, (10 May 2020)
- Enloe, Cynthia, (1989), Bananas, Beaches and Bases. Making Feminist Sense of International Politics, Berkeley, Los Angelus: University of California Press.
- Enloe, C. (1989). Bananas, Beaches and Bases. Making Feminist Sense of International Politics, Berkely, Los Angeles, University of California Press
- Freeman, J. (2005). Shirley Chisholm's 1972 Presidentail Campaign, avaliable at https://web.archive.org/web/20141111182057/http://www.uic.edu/orgs/cwluherstory/jofreeman/polhistory/chisholm.htm (10 April 2021)
- Fowler, L, L., and Lawless, J. L. (2009). Looking for sex in all the wrong places: Press Coverage and the Electoral Fortunes of Gubernatorial Candidates." Perspec tives on Politics 7(3): 519-37
- Fox RL (1997). Gender Dynamics in Congressional Elections. Thousand Oaks, CA: Sage Press.
- Hill S., "Why Does the US Still Have So Few Women in Office?"
- Available at https://www.thenation.com/article/archive/why-does-us-still-have-so-few-women-office/ (10 March2021)

- Niven, D. (1998). Party Elites and Women Candidates: The Shape of Bias." Women & Politics 19(2): 57-80
- Sanbonmatsu K., "Why Women? The Impact of Women in Elective Office," Political Parity. available at: https://www.politicalparity.org/wp-content/uploads/2015/08/Parity-Research-Women-Impact.pdf. (10 Mai 2021)
- Krook M., (2018). Electoral Systems and Women's Representation", In: E.S. Herron, R. Pekkanen, M. Soberg Shugart (eds.) *The Oxford Handbook of Electoral Systems,* New York: Oxford University Press, pp. 172-196.
- Krook, Mona Lena (2006) Reforming representation: The diffusion of candidate gender quotas worldwide. Politics & Gender 2(3): 303–327.
- Steinhauer, J. (2013). „Women Make New Gains in the Senate". *The New York Times,* avaliable athttps://www.nytimes.com/2013/03/22/us/politics/women-make-new-gains-in-the-senate.html,(10 August 2020)
- Studlar (2008). Feminist Society, Paternalistic Politics," 55-65 "About Us," Running Start, accessed at http://runningstartonline.org/about-us/historymission (21 March 2020)
- Thomas S. (1991). The impact of Women on State Legislative Politics*, Journal of Politics* 53: 959-60
- Women in the U. S. Congress 2021, Center for American Women and Politics, avaliable at https://cawp.rutgers.edu/women-us-congress-2021, (20 August 2021)

ვებ-გვერდები

- Center For American Women and Politcs https://cawp.rutgers.edu/
- Women & Politics Institute
- https://www.american.edu/spa/wpi/
- Women and Public Policy Program
- https://wappp.hks.harvard.edu/oval-office-program
- Runing Start
- https://runningstart.org/
- Emily's List

- https://emilyslist.org/
- National Organization for Women
- https://now.org/
- Emerge America
- https://emergeamerica.org/
- Elect Women For A Change Program
- https://elect-her.org/
- The Campaign School at Yale University
- https://tcsyale.org/
- www. QUOTAPROJECT
- Women in Government (2021). https://www.catalyst.org/research/women-in-government/
- Women in National Parliaments: World Classification

Eka Darbaidze
Tamila Niparishvili

Gender Politics in the United States

Abstract

The purpose of this article is to examine the reasons for the unequal political representation of women in the United States. In particular to identify the factors that contribute to the low representation of women in the American political system; How priority is this problem today and specifically what kind of mechanisms the state is trying to overcome the under-representation of women. Groups of women who participate and are involved in promoting women's empowerment and political participation do not support the legislative quota strategy, so it is extremely important to study the role, initiatives and approaches of women's organizations in stimulating women's political participation. Moreover, there is only one type of intervention compared to other strategies: These are the implementation of training or other types of education programs for women interested in politics. We can conclude that the lack of legislative quotas initiative in American civil society and the unpopularity of the idea in general may be related to the lack of mobilization around the idea of quotas in women's organizations.

Keywords: Women's Political Participation, Gender Quota, American Women, Women candidates